სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს KPMG Georgia
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი 4,
0105, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“
დირექტორთა საბჭოს

ჩვენ მოვახდინეთ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და შენიშვნებს, რაც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. „ხელმძღვანელობის ანგარიში“ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშს“ და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „ხელმძღვანელობის ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავ ის არსებით უზუსტობებს.

„ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვისას, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

– ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
13 ივლისი 2018 წელი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	195,361	210,592
არამატერიალური აქტივები		107,015	54,278
სხვა გრძელვადიანი აქტივები		3,597	5,332
გრძელვადიანი აქტივები		**305,973**	**270,202**
მარაგები		1,383	1,498
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		3,642,080	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	35,117,230	52,193,754
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	13,414,057	10,392,971
მიმდინარე აქტივები		**52,174,750**	**62,588,223**
სულ აქტივები		**52,480,723**	**62,858,425**
კაპიტალი	15		
სააქციო კაპიტალი		87,309	87,309
სააქციო კაპიტალში არაფულადი შენატანების რეზერვი		(15,660)	(15,660)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		201,327	201,327
გაუნაწილებელი მოგება		16,635,516	6,586,359
სულ კაპიტალი		**16,908,492**	**6,859,335**
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	35,572,231	55,999,090
მიმდინარე ვალდებულებები		**35,572,231**	**55,999,090**
სულ ვალდებულებები		**35,572,231**	**55,999,090**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**52,480,723**	**62,858,425**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-28 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	501,759,526	325,340,040
რეალიზებული საქონლის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(494,293,910)	(319,077,202)
სრული მოგება		7,465,616	6,262,838
სხვა შემოსავალი	6	2,029,120	2,120,334
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,089,457)	(4,047,353)
ნეტო უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა/ (უიმედო ვალის ხარჯი)	9	2,669,218	(2,778,642)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		8,074,497	1,557,177
ფინანსური შემოსავალი	7	1,998,660	885,137
ფინანსური ხარჯები	7	-	(259,791)
წმინდა ფინანსური ხარჯი		1,998,660	625,346
მოგება დაბეგვრამდე		10,073,157	2,182,523
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	10	-	(477,732)
მოგება წლის განმავლობაში		10,073,157	1,704,791
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	11	-	86,938
გადავადებული გადასახადის გავლენის ამოტრიალება ძირითადი საშუალებების გადაფასებაზე	10	-	17,158
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		-	104,096
სულ მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		10,073,157	1,808,887

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 13 ივლისი და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ვახტანგ ბაბოკვაძე
გენერალური დირექტორი

ხათუნა ჩადუნელი
მთავარი ბუღალტერი

ლარი	სააქციო კაპიტალი	არაფულადი შენატანის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	87,309	(15,660)	97,231	4,905,568	**5,074,448**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	1,704,791	**1,704,791**
სხვა სრული შემოსავალი					
გადავადებული საგადასახადო ეფექტის დაბრუნება (შენიშვნა 10)	-	-	17,158	-	**17,158**
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	86,938	-	**86,938**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	**104,096**	**1,704,791**	**1,808,887**
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
დივიდენდები	**-**	-	-	(24,000)	**(24,000)**
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები	**-**	**-**	**-**	**(24,000)**	**(24,000)**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	**87,309**	**(15,660)**	**201,327**	**6,586,359**	**6,859,335**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**87,309**	**(15,660)**	**201,327**	**6,586,359**	**6,859,335**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	**-**	**-**	**-**	10,073, 157	**10,073,157**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**-**	**-**	**10,073,157**	**10,073,157**
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
დივიდენდები	**-**	**-**	**-**	(24,000)	**(24,000)**
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**-**	**-**	**-**	**(24,000)**	**(24,000)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**87,309**	**(15,660)**	**201,327**	**16,635,516**	**16,908,492**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-28 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგებაწლის განმავლობაში დაბეგვრამდე		10,073,157	2,182,523
კორექტირებები:			
ცვეთასა და ამორტიზაციაში	11	75,089	83,028
უიმედო ვალი		230,057	2,778,642
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	630
წმინდა ფინანსურ შემოსავალი	7	(1,998,660)	(625,346)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილების განხორციელებამდე		**8,379,643**	**4,419,346**
ცვლილება მარაგებში		115	6,283
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში		1,735	-
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო აქტივებში		(3,462,080)	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		16,846,467	(12,937,510)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(20,098,248)	4,060,362
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე		**1,487,631**	**(4,451,388)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**1,487,631**	**(4,451,388)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		1,640,941	885,137
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(37,706)	(18,921)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(74,887)	(27,111)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**1,528,348**	**839,105**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(24,000)	(24,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში		**(24,000)**	**(24,000)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**2,991,979**	**(3,636,283)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		10,392,971	14,380,352
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		29,107	(351,098)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	**13,414,057**	**10,392,971**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-28 გვერდებზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (შემდგომში „კომპანია") დაარსდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2011 წლის 18 აგვისტოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს # 142 ბრძანების საფუძველზე. „კომპანიის" რეგისტრაციის ნომერია: 205170036.

„კომპანიის" იურიდიული მისამართია: ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო.

„კომპანიის" ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვას, ელექტროენერგიის იმპორტ/ექსპორტს და საქართველოში ელექტროენერგიის შესყიდვა-რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს თბოელექტროსადგურები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს. თერმული გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური რაოდენობა თითოეული წყაროსთვის და პერიოდისთვის განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები"-ს მიხედვით, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ „კომპანიის" მიერ. 2014 წლის 31 აგვისტომდე ზემოთხსენებულ ოპერაციებში „კომპანია" მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი გამყიდველი. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, „კომპანია" მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის ოპერაციებში როგორც პირდაპირი გამყიდველი.

„კომპანიის" ძირითადი საქმიანობები განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით".

„კომპანიის" დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. „კომპანიის" 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი", რომელიც მთლიანად სახელმწიფო მფლობელობაშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-19 შენიშვნაში.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის" საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია" დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის" ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომლების რეგულარულად ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

(გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი", „GEL"), რომელიც „კომპანიის" სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

(დ) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 17(ბ)(ii) – სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- *დონე 1*: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე-17 შენიშვნაში - სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება „კომპანიის" მიერ, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „კომპანიის" სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „კომპანიის" სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლის სამართლიანი ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა გასაყიდად გამიზნული წილობრივი ინსტრუმენტისა, რომლის შესაბამისი საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები მოიცავს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

მოთხოვნებისა და დეპოზიტების თავდაპირველ აღიარებას „კომპანია" ახდენს მათი წარმოქმნის თარიღის მიხედვით. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის საწყისი აღიარება ხდება გარიგების თარიღით, როდესაც „კომპანია" ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„კომპანია" წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა „კომპანია" გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების გადაცემიდან წარმოშობილი ნებისმიერი სარგებელი/ვალდებულება „კომპანიის" მიერ აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა და ნეტო პრეზენტაცია ხდება, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „კომპანიას" გააჩნია აღნიშნული გაქვითვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ნეტო ანგარიშსწორება ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

„კომპანია" არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მე-13 შენიშვნის შესაბამისად და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, მე-14 შენიშვნის შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად და საბანკო ნაშთებს შეძენიდან სამთვიანი ან ნაკლები გადახდის ვადით.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(გ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია როგორც კაპიტალიდან გამოქვითვა გადასახადების გათვალისწინებით.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

თავდაპირველად „კომპანიის" მიერ ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულებით. შემდგომ ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განხორციელებულ პერიოდულ შეფასებაზე დაყრდნობით, გამოკლებული შემდგომი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. გადაფასებული აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, ყველა დაკავშირებული თანხა რომელიც გათვალისწინებულია გადაფასების რეზერვში, როგორც გადაფასების ზედმეტობა, გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას „კომპანიაში" და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) გადაფასება

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება მოგების-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება პირდაპირ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან, ან „კომპანიის" მიერ შიდა მოხმარებისთვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი;
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები 4-5 წელი;
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა 4-5 წელი.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ე) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომელიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ყოველი ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ფასდება იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების (წილობრივი ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია: მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე, „კომპანიის" მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების იძულებითი რესტრუქტურიზაცია, დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის ალბათობა, ეკონომიკური ვითარება, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაკოტრებასთან ან გაქრობასთან. დამატებით, სააქციო კაპიტალში ინვესტიციის შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან მიმართებაში არის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„კომპანია" სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ყველა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნა, რომელიც ინდივიდუალურად არ გაუფასურებულა, ექვემდებარება გაუფასურების კოლექტიური ანალიზს.

(ii) არაფინანსური აქტივები

„კომპანიის" არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. არამატერიალური აქტივებისთვის, რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა ან არ არიან მზად სარგებლობისთვის, ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთის და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ვ) პერსონალის მოკლევადიანი სარგებელი

პერსონალის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით და იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიას" მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(ზ) შემოსავლები

(i) ელექტროენერგიის რეალიზაცია

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის ელექტროენერგიის ექსპორტიდან, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცა მომხმარებელს, ანაზღაურების მიღება მოსალოდნელია, დაკავშირებული ხარჯები და ელექტროენერგიის მოსალოდნელი დაბრუნებების წინასწარმეტყველება შესაძლებელია საიმედოდ, არ არსებობს განგრძობითი მენეჯერული ჩარევა გაყიდულ ელექტროენერგიასთან და შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედოდ დადგენა. თუ მოსალოდნელია ფასდათმობა, რომლის ღირებულების საიმედო განსაზღვრა შესაძლებელია, მაშინ ასეთი ფასდათმობა აღიარებულ უნდა იქნას შემოსავლის შემცირებით მაშინ, როცა შემოსავალი აღიარდება.

რისკებისა და სარგებლის გადაცემის დრო იცვლება ინდივიდუალურ რეალიზაციის შეთანხმებებში ჩადებული ვადების მიხედვით. საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციისას, რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება ელექტროსისტემის იმ წერტილამდე, საიდანაც ნაწილდება კლიენტზე ელექტრო სადენების მეშვეობით და ელექტროენერგია ითვლება მიღებულად.

2014 წლის 1 სექტემბრამდე გარანტირებული სიმძლავრის შესაძენად ოპერაციის ფარგლებში „კომპანია" მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც შემსრულებელი. 2014 წლის სექტემბრიდან შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებებიდან გამომდინარე, „კომპანია" მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის შეძენისა და რეალიზაციის ოპერაციაში, როგორც შემსრულებელი და შესაბამისად, აღიარებს შემოსავალს და რეალიზაციის შესაბამის ხარჯს. „კომპანია" არ რიცხავს საკომისიოს გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასა და რეალიზაციაზე.

(ii) მომსახურება

შემოსავლის აღიარება ხდება „კომპანიის" მიერ შესაბამისი კანონმდებლობებისა და რეგულაციების ფარგლებში გაწეული მომსახურებების ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში" შემოედინება.

(თ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი მოიცავს ინვესტიციებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს. საპროცენტო შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდების გამოყენებით.

უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი და დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

საბალანსო ელექტროენერგიის ფასები დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანების - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები" მიხედვით. საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში, რომელიც მიეყიდება კვალიფიცირებულ საწარმოებს, იგივე საბაზრო წესების მიხედვით კომპანია ფასის წარმოებისას მხედველობაში იღებს საკურსო სხვაობით გამოწვეულ ცვლილებებს და ახდენს ფასის შესწორებას შესაბამისად.

(ი) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს კომბინაციებს, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებულ გადასახადს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში, მიმდინარე გადასახადზე ვრცელდება საგადასახადო ჩათვლა.

დივიდენდების გადახდით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული პირები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს; შესაბამისად არ წარმოიშვება გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

4. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

რამდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაცია ჯერ არ არის ამოქმედებული 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ „კომპანიის" საოპერაციო საქმიანობაზე. „კომპანია" გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები*

2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია.

ფასს 15 - *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 *შემოსავალი,* ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფასიკ 13 *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები.* ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ უამრავ კომპონენტს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია.

ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების სავარაუდო გავლენა

„კომპანია" ვალდებულია მიიღოს ფასს 9 (*ფინანსური ინსტრუმენტები*) და ფასს 15 (*ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*) 2018 წლის 1 იანვრიდან. „კომპანიამ" შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9 და ფასს 15-ის თავდაპირველ გამოყენებას არ ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ სტანდარტების მიღების სავარაუდო გავლენა „კომპანიის" კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება ამ თარიღისთვის განხორციელებულ წინასწარ შეფასებას.

ფასს 16 - *იჯარები*

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის საღრიცხვო პროცედურები

არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (*ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*). „კომპანია" აფასებს ფასს 16-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. შემოსავლები და რეალიზაციის ხარჯები

ლარი	2017	2016
შემოსავალი საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	328,114,893	152,153,006
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	142,880,298	153,667,590
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	23,676,747	14,770,263
შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან	4,529,911	4,399,910
შემოსავალი პირდაპირი კონტრაქტით გაყიდული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	2,557,677	349,271
სულ შემოსავალი	**501,759,526**	**325,340,040**

ლარი	2017	2016
გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	(328,114,893)	(152,153,007)
გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების(შენიშვნა 13) თვითღირებულება	(142,880,298)	(153,667,588)
ელექტროენერგიის ექსპორტის თვითღირებულება	(20,752,484)	(12,908,419)
პირდაპირი კონტრაქტით გაყიდული (იმპორტირებული) ელექტროენერგიის თვითღირებულება	(2,546,235)	(348,188)
რეალიზებული ელექტროენერგიის/ გაწეული მომსახურების ჯამური თვითღირებულება	**(494,293,910)**	**(319,077,202)**

„კომპანია" ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდებაზე. საბალანსო ელექტროენერგიის ფასწარმოქმნა დაფუძნებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებაზე - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები".

„კომპანიის" მომსახურების ფიქსირებული ტარიფი - 0.00019 ლარი ოდენობით ყოველ კვ/სთ-ზე განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

6. სხვა შემოსავალი

ლარი	2017	2016
შემოსავალი ჯარიმებიდან	2,024,935	2,118,562
სხვა	4,185	1,772
	2,029,120	**2,120,334**

შემოსავალი ჯარიმებიდან 2017 წლისათვის 1,150,396 ლარის ოდენობით, მთლიანად წარმოდგენილია ჯარიმით ერთი კომპანიის შპს „ჯორჯაინ მანგანეზის" მიმართ (2016 წელს 1,673,920).

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	1 642 624	885,137
უცხოურ ვალუტაზე საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი	356 036	-
ფინანსური ხარჯი	**1,998,660**	**885,137**
უცხოურ ვალუტაზე საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი	-	(259,791)
ფინანსური ხარჯები	**-**	**(259,791)**
წმინდა ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**1,998,660**	**625,346**

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2017	2016
ხელფასები	2,726,510	2,704,467
იჯარა	1,000,000	1,000,000
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	78,501	39,385
ცვეთა და ამორტიზაცია	75,090	83,028
კომუნალური ხარჯები	38,820	39,557
საოფისე აღჭურვილობა	29,796	32,562
პროფესიონალური მომსახურებები	23,304	34,291
ავტომობილების რემონტისა და მოვლის ხარჯები	21,299	21,958
საწვავი	18,489	14,831
დაზღვევა	14,042	13,216
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	9,471	9,882
საოფისე ხარჯები	2,806	2,470
სხვა ხარჯები	51,329	51,706
	4,089,457	**4,047,353**

9. (უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა)/უიმედო ვალის ხარჯი

ლარი	შენიშვნა	2017	2016
ანარიცხები სავაჭრო მოთხოვნებზე	17(დ)	-	2,196,831
სხვა უიმედო ვალის ხარჯი		230,057	702,241
ადრე ჩამოწერილი უიმედო ვალის აღდგენა		(2,899,275)	(120,430)
ნეტო (უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა)/ (უიმედო ვალის ხარჯი)		**(2,669,218)**	**2,778,642**

10. მოგების გადასახადის ხარჯი

(ა) მოგება-ზარალში აღიარებული თანხები

„კომპანიის" მოქმედი საგადასახადო განაკვეთი მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

ლარი	2017	2016
გადავადებული საგადასახადო ხარჯი		
დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება	-	477,732
ჯამური საგადასახადო ხარჯი	**-**	**477,732**

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის გაანგარიშება:

	2017		2016	
	ლარი	%	ლარი	%
წლის მოგება დაბეგვრამდე	-	-	2,182,523	100
გადასახადი მოქმედი შიდა საგადასახადო განაკვეთით	-	-	327,378	15
საგადასახადო და ფინანსურ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა	-	-	(327,378)	(15)
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (გამოწვეული კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით)	-	-	477,732	22
	-	**-**	**477,732**	**22**

(ბ) მთლიან- სრული შემოსავალში აღიარებული თანხები

ლარი	2017			2016		
	გადასახადის გადახდამდე	გადასახადი	გადასახადების შემდეგ	გადასახადის გადახდამდე	გადასახადი	გადასახადების შემდეგ
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	86,938	17,158*	104,096
	-	**-**	**-**	**86,938**	**17,158**	**104,096**

* კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო, გადავადებული გადასახადის ამოტრიალება, რომელიც აღიარებული იყო ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში, (შენიშვნა 11(b).

2016 წელს ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივების დაბრუნება 477,732 ლარის ოდენობით უკავშირდება ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება ძალაში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, „კომპანიამ" მოახდინა ცვლილების მთლიანი ეფექტის აღიარება განვლილი პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარების შეწყვეტით, მოგების გადასახადის ხარჯის სახით.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, რომელიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში. ამგვარი ამონაგებისთვის ხელმისაწვდომი მთლიანი საგადასახადო ანაზღაურება 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც 2018 წელს ან შემდგომ წლებში ნაწილდება, შეადგენს 954,610 ლარს.

11. ძირითადი საშუალებები

ლარი	ავტომობილები	აპარატურა და მოწყობილობები	კომპიუტერები და მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება				
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	100,758	94,027	88,408	283,193
შესყიდვა	-	9,543	9,378	18,921
გაყიდვები	-	(2,199)	(5,364)	(7,563)
გადაფასება	39,520	24,830	22,588	86,938
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	**140,278**	**126,201**	**115,010**	**381,489**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	140,278	126,201	115,010	381,489
შესყიდვა	-	11,845	25,861	37,706
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**140,278**	**138,046**	**140,871**	**419,195**
ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	(35,448)	(37,858)	(37,100)	(110,406)
ცვეთა წლის განმავლობაში	(23,340)	(21,184)	(22,899)	(67,423)
გაყიდვები	-	1,959	4,973	6,932
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	**(58,788)**	**(57,083)**	**(55,026)**	**(170,897)**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	(58,788)	(57,083)	(55,026)	(170,897)
ცვეთა წლის განმავლობაში	(17,240)	(16,963)	(18,734)	(52,937)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**(76,028)**	**(74,046)**	**(73,760)**	**(223,834)**
საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 1 იანვარი	65,310	56,169	51,308	172,787
2016 წლის 31 დეკემბერს	**81,490**	**69,118**	**59,984**	**210,592**
2017 წლის 31 დეკემბერს	**64,250**	**64,000**	**67,111**	**195,361**
საბალანსო ღირებულება გადაფასების გარეშე				
2016 წლის 1 იანვარი	28,330	43,750	46,405	118,485
2016 წლის 31 დეკემბერს	4,990	31,869	32,493	69,352
2017 წლის 31 დეკემბერს	**-**	**23,214**	**22,752**	**45,966**

ცვეთის ხარჯი სრულად შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ძირითადი საშუალებების გადაფასება

2016 წელს, ხელმძღვანელობამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 210,592 ლარის ოდენობით2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველად განისაზღვრა ღია ბაზარზე მსგავსი ტიპის ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულების მეშვეობით.

12. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

თავდაპირველად კომპანიას ჰქონდა საბაჟო დეკლარაციების წარდგენის უფლება 90 დღის განმავლობაში იმ თვის ბოლოდან, როდესაც მოხდა ელექტროენერგიის შემოტანა. კომპანია ახდენდა დღგ-ს ჩათვლას ელექტროენერგიის იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე, ითვალისწინებდა რა კლიენტებზე გაცემული ელექტროენერგიის წარმომქმნელ დღგ-ს ამ 90 დღის განმავლობაში. 2017 წლის მაისში საქართველოს შემოსავლების სამსახურში მიღებული განმარტების საფუძველზე, კომპანიას დაევალა დღგ-ს გადახდა საბაჟო დეკლარაციის (ელექტროენერგიის იმპორტის თარიღი) თარიღისთვის. აღნიშნულის გამო მოხდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების ზრდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2016 წლის 1 იანვრიდან მოხდა ყველა გადასახადის გაერთინება საერთო სახაზინო კოდზე. კომპანიამ მოახდინა ყველა საგადასახადო აქტივის და ვალდებულების გაერთიანება 2017 და 206 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2017	2016
საბალანსო ელექტროენერგია	30,316,115	29,176,826
გარანტირებული სიმძლავრე	4,261,767	20,125,208
გაწეული მომსახურება	413,525	627,460
წინასწარ გადახდილი ხარჯები	103,350	121,436
წინასწარ გადახდილი გადასახადები	13,596	95,653
სხვა მოთხოვნები (ჯარიმები)	8,877	2,047,171
	35,117,230	**52,193,754**

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2017	2016
საბანკო ნაშთები	13,414,057	10,392,971
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	**13,414,057**	**10,392,971**

„კომპანიის" საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

15. კაპიტალი და რეზერვები

(ა) საწესდებო კაპიტალი

აქციათა რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2017	2016
ავტორიზებული აქციები	87,309	87,309
ნომინალური ღირებულება	GEL 1	GEL 1
გამოშვებული 31 დეკემბერს	**87,309**	**87,309**

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ გააჩნიათ თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება „კომპანიის" აქციონერთა კრებაზე.

(ბ) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის" მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის" გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის" ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის შესაბამისად.

2017 წელს „კომპანიამ" გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 24,000 ლარის (2016 წელს: 24,000 ლარი) ოდენობით.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2017	2016
საბალანსო ელექტროენერგია	30,768,328	32,745,729
გარანტირებული სიმძლავრე	4,180,710	22,094,551
მიღებული მომსახურება	388,714	138,428
საექსპორტო ელექტროენერგია	137,490	130,480
საგადასახო ვალდებულებები	-	833,265
სხვა ვალდებულებები	78,989	56,637
	35,572,231	**55,999,090**

„კომპანიის" სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე უფრო ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

„კომპანიამ" განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

„კომპანიის" შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია" დგას შემდეგი რისკების წინაშე:

— საკრედიტო რისკი
— ლიკვიდურობის რისკი
— საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე" ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის" მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის" ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(გ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის" ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის" რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის" ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის" რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე" რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის" საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას" მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

(დ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის" ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას" ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან.

(i) საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
ლარი	**2017**	**2016**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,000,284	51,976,665
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,414,057	10,392,971
	48,414,341	**62,369,636**

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის" დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის" მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ მრეწველობებისა და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე. „კომპანიის" შემოსავლის დაახლოებით 45% (2016 წელს: 34%) წარმოადგენს გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან - სს „ენერგო პრო ჯორჯია". „კომპანიის" საექსპორტო გაყიდვები რუსეთში, სომხეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში, 2017 წლის მთლიანი საექსპორტო გაყიდვებიდან მოიცავს 51,7%, 32.0%, 15,1% და 1,2%, შესაბამისად (2016 წელს: რუსეთი 99,9% და აზერბაიჯანი 0,1%).

„კომპანიის" ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის" სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის" განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, კომპანია წარმოდგენილია როგორც შემსრულებელი და თავის თავზე იღებს ყველა არსებულ საკრედიტო რისკს გაყიდულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით (საბალანსო და გარანტირებული ელექტოენერგია). კომპანია ასევე ვალდებულია გადაუხადოს დავალიანება ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს წარმოებული და მიწოდებული ელექტროენერგიისთვის (საბალანსო და გარანტირებული ელექტოენერგია).

„კომპანიის" მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან" და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის" საბითუმო მომხმარებლებს. „კომპანია" არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. ამჟამინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინასწარ გარანტიებს, შესაბამისად კომპანია არ მოითხოვს გირაოს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.

„კომპანიას" განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისათვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდის სტატისტიკაზე დაყრდნობით.

„კომპანიის" სავაჭრო მოთხოვნების 99.7%-ს საანგარიშგებო თარიღისთვის შეადგენენ შიდა საბითუმო მომხმარებლები. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას" ჰყავდა ოთხი შიდა საბითუმო მომხმარებელი (2016 წელს: ოთხი მომხმარებელი) და ისინი წარმოადგენდნენ მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 98%-ზე მეტს (2016 წელს: 98%).

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი საანგარიშგებო დღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	მთლიანი თანხა 2017	გაუფასურება 2017	მთლიანი თანხა 2016	გაუფასურება 2016
ვადაგადაუცილებელი	35,117,230	-	36,041,457	-
ვადაგადაცილებული 0-30 დღე	-	-	2,001,435	(604,763)
ვადაგადაცილებული 31-120 დღე	-	-	4,005,401	(633,707)
ვადაგადაცილებული 121-150 დღე	-	-	1,589,519	-
ვადაგადაცილებული 151-365 დღე	-	-	8,466,987	(958,361)
ვადაგადაცილებული წელიწადზე მეტი ვადით	-	-	21,526	-
	35,117,230	**-**	**52,126,325**	**(2,196,831)**

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არსებობს იმ ვადაგადაცილებული თანხების ამოღების ალბათობა, რომლებიც არ არიან გაუფასურებული, ეს დაფუძნებულია განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოცდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	
	2017	**2016**
ნაშთი წლის დასაწყისში	(2,196,831)	(99,242)
აღიარებული გაუფასურების ზარალი	-	(2,196,831)
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	2,196,831	99,242
ნაშთი წლის ბოლოს	**-**	**(2,196,831)**

(ii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია" ფლობდა 13,414,057 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს (2016 წელს: 10,392,971 ლარი), რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შენახულია საქართველოს წამყვან ბანკში, რომლის შეფასების რეიტინგი (Fitch-ის მიხედვით) არის B.

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია" ვერ შესძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიისეული" მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას" ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის" ლიკვიდურობას.

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების გავლების გამოკლებით:

31 დეკემბერი 2017 ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35,572,231	35,572,231	35,572,231

31 დეკემბერი 2016 ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55,165,821	55,165,821	55,165,821

არ არის მოსალოდნელი, რომ ხანდაზმულობის ანალიზში ნაჩვენები ფულადი ნაკადების მოძრაობა განხორციელდეს მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

(ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის" მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(i) სავალუტო რისკი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები"-ს მიხედვით რომელის გამოცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

(ზ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის" საქმიანობის საქმიანიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა „კომპანია" არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

18. პირობითი ვალდებულებები

(ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას" დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას, რამაც შესაძლოა არსებითად იმოქმედოს „კომპანიის" ფუნქციონირებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე, და რომლებიც არ არის დარიცხული ან განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(გ) ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები

„კომპანიას" გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ახალი ჰიდროელექტრო სადგურების, თერმოელექტრო სადგურებისა და ქარის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვაზე. მთლიანობაში 40 (2016 წელს: 65 ხელშეკრულება) ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა. 2017 წელს ოთხი ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა (2016 წელს: ორი ელექტროსადგური). ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს „მომავალში შესრულების ხელშეკრულებებს" და ისინი არ არიან დამამძიმებელი ხელშეკრულებები ბასს 37-ის (*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*) შესაბამისად. შეუძლებელია შემოსავლის მიახლოებითი რაოდენობის და იმ გაყიდვების თვითღირებულების ობიექტურად შეფასება, რომლებიც „კომპანიას" წარმოექმნება მშენებლობის დასრულების და ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყების შემდეგ.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) ურთიერთობა მაკონტროლებელ ორგანოებთან

„კომპანიის" დამფუძნებელი და ერთადერთი მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. კომპანიის აქციების 100%-იანი მფლობელი არის სს „საპარტნიორო ფონდი" (როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია), მიუხედავად ამისა, 100% წილის მართვის უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. რომლის უფლებამონაცვლესა და სამართალმემკვიდრეს ამჟამად წარმოდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სს „საპარტნიორო" ფონდი გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

მმართველი რგოლის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხილეთ მე-8 შენიშვნა):

ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	**270,873**	**271,200**

(გ) ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან

სს „საპარტნიორო ფონდი" ფლობს „კომპანიის" აქციების 100%-ს (2016 წელს: 100%), ხოლო 100% წილის მართვის უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ეს საკუთრება მთავრობას „კომპანიაზე" მნიშვნელოვანი გავლენის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, „კომპანია" ყოველდღიურად ურთიერთობს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც კონტროლდება მთავრობის მიერ ან მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. „კომპანია" იყენებს გათავისუფლების უფლებას ბასს 24 *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნებიდან*, რაც უფლებას აძლევს არასრულად წარმოადგინოს დაკავშირებულ მხარეთა ის განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება ოპერაციებს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებთან.

ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციები

„კომპანია" ფუნქციონირებს ენერგეტიკის სფეროში, რომელშიც დომინირებენ მთავრობის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი კომპანიები.

ეს ოპერაციები ხორციელდება „კომპანიის" ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, სადაც „კომპანია" არ განსხვავდება სხვა კომპანიებისგან, რომლებიც მთავრობასთან არ არიან დაკავშირებულნი. პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით „კომპანიამ" დანერგა შესყიდვის პოლიტიკები და პროდუქტებისა და მომსახურებების შესყიდვის დამტკიცების პროცესები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან იმ ფაქტისგან, არიან თუ არა კონტრაგენტები მთავრობასთან დაკავშირებული თუ არა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ „კომპანიის" სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სხვა სუბიექტებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები შეადგენს სულ მცირე 23%-ს (2016 წელს: 25%) საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან და1.3%-2.9%-ს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის შეძენიდან (2016 წელს: 4.2% და 4.5%-ს შორის).

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“
ბარათაშვილის ქუჩა №2,
თბილისი, საქართველო.

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/l/063/18

28 სექტემბერი 2018 წელი

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 28 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის 28 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2018 წლის 13 ივლისს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 13 ივლისის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი
აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

მმართველობითი ანგარიში
2017 წელი

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (კომპანია) ასრულებს„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით" განსაზღრულ საქმიანობას, მათ შორის ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, ქვეყანაში სეზონური საჭიროების მიხედვით ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს, ამასთანავე გვევლინება ახლადაშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შემსყიდველად (კომპანია ანხორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსაც).

კომპანიის აქციების 100% წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის“ საკუთრებას, რომელიც მართვის უფლებით გადაცემული აქვს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“-ს. ელექტროენერგიის ბაზრის არსებული მოდელის მიხედვით კომპანია ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიას და გარანტირებულ სიმძლავრეს, ანუ იმ ელექტროენერგიას, რაც იქნა ფაქტიურად გამომუშავებული და ამავდროულად შესაბამისად მოხმარებულიც ფაქტიურად, კომპანიის მეშვეობით ხორციელდება ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრეის ხარჯის გენერირების იდენტური ოდენობით გადატანა მომხმარებელზე, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას სრულად მოახდინოს შეძენილი ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯების კომპენსირება.

საბალანსო ელექტროენერგიის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა კომპანიისთვის არაა მომგებიანი საქმიანობა, საბალანსო ელექტროენერგიის ფასი განისაზღვრება საბაზრო წესების შესაბამისად, საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე ყოველგვარი სხვა ნამატის გარეშე, ანუ თვითღირებულებით. კომპანია თავისი საქმიანობისათვის იღებს მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ საკომისიოს, რომლის ოდენობა არაა დამოკიდებული მოგების მაჩვენებელზე.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუქნტსი თანახმად, საქართველოში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის თაოაბზე საქართველოს მთავრობას, კომპანიასა და შესაბამის პირს შორის შეთანხმების შემთვევაში, კომპანია ვალდებულია შესაბამის პირთან გააფორმოს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (PPA-ს) იმ პირობებით, რომლებზედაც შეთანხმდნენ საქართველსო მთავრობა, კომპანია და შესაბამისი პირი. კომპანიის ვალდებულებები ძირითადად მოიცავს ახლად აშენებული ჰესებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვას ძირითადად შემოდგომა-ზამთრის თვეებში, როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად მეტია საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობასთან შედარებით.

კოპმანია არ მონაწილეობს ინვესტორთან გასაფორმებელ მემორანდუმში ფასის და შესასყიდი პერიოდის განსაზღვრის პროცესში. იგი მთავრობასა და ინვესტორს შორის მიღწეული შეთანხმებით, მემორანდუმებში ასახული პირობების გათვალისწინებით ინვესტორთან აფორმებს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

ხაზგასასმელია და არსებითი ის გარემოება, რომ აღნიშნული სადგურებიდან კომპანიის მიერ ელექტროენერგიის შესყიდვისა და გაყიდვის სქემა არსებითად არ განსხვავდება გენერაციის სხვა ობიექტებიდან ელექტროენერგიის შესყიდვისა და რეალიზაციის სქემისაგან.

2. ფინანსური მდგრადობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდომარეობა (კაპიტალის ზრდა). მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი, გასაგები, საიმედო და უტყუარი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება სექტორის მდგრადობის ხელშემწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და შიდა აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მომაცემების შესახებ წარმოდგენილია მის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელზეც აუდტის დასკვა დაიცა 2018 წლის 13 ივლისს. აღნიშნული აუდირებული ფინანსური ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი.

3. საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კომპანიისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვება მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან.

კომპანიას გააჩნია საკედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თვითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, საწარმოებთან სისტემატური ურთიერთობა, არსებული პრობლემის განხილვა მათთან ერთად და მოცემული რისკების შემცირება.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების შემცირების მიზნით, რაშიც იგულისხმება:

- ✓ ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა.

- ✓ წერილობითი გაფრთხილებები და გაფრთხილებიდან 72 საათის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის ღონისძიებების გამოყენება („ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ და სტანდარტული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

- ✓ სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს კომპანიასთან და ზარალს იშვიათად აქვს ადგილი. კომპანია საკრედიტო რისკის დაბალი მაჩვენებლის მატარებელია (მოვლენის დადგომის ალბათობა 10 წლის განმავლობაში ორი მომხმარებელი). აღნიშნულმა ზარალმა გავლენა არ მოახდინა ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე.

ლიკვიდურობის მართვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს პარტნიორის მიერ წმინდა მოგების სახით საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები. მოგების მაჩვენებლის ფორმირება ხდება კომპანიის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული ექსპორტის ოპერაციებიდან და ამ ოპერაციების განხორციელებაზეა დამოკიდებული კომპანიის მოგების მაჩვენებელი, შესაბამისად საწარმოს საბრუნავი სახსრების მოცულობა.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

4. სავალუტო რისკი

კომპანიას გააჩნია სავალუტო ოპერაციები. კომპანია სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ შესულმა ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც კომპანიის მიერ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება რეალიზებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასში, პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა სავალუტო რისკი.

5. სხვა ოპერაციები

- ✓ კომპანიას-ს არ გააჩნია სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ.

- ✓ კომპანიას არ აქვს გაცემული გარანტიები ან საგარანტიო წერილები, არ ერიცხება ავანსად გადახდილი თანხები.

- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

- ✓ კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არ/ვერ იღებს გადაწყვეტილებებს განსახორციელებელი სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ ისეთ კარდინალურ თემებზე, როგორიცაა ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის შესასყიდი ან გასაყიდი ფასების განსაზღვრა, მყიდველი და გამყიდველი საწარმოების შერჩევა, ფასდათმობების განხილვა, გადასახდელების გადაკისრება ან გადავადება და ასე შემდეგ. ყველა ასეთი საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონდებლობის მიხედვით (გარდა ექსპორტის ოპერაციებისა), შესაბამისდ არ წარმოადგენს კომპანიის მენეჯერული გადაწყვეტილების საგანს, რაც თავის მხრივ ამცირებს ასეთი გადაწყვეტილებებიდან რისკების წარმოშვების ალბათობას.